და მრავალფეროვანი კონცეფციების გათვითცნობიერება და დაუფლება, ავტორთა მოსაზრებით, ეკონომიკური და ფინანსური პროფესიონალიზმის ფორმირებისა და გაღრმავების უალტერნატივო წინაპირობად არის წარმოდგენილი.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკური და ფინანსური სფეროს სპეციალისტებისათვის, პროფილური სახელმწიფო და კერძო უწყებების მოსამსახურეებისათვის, სამეცნიერო მუშაკების, პედაგოგებისათვის, აგრეთვე, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელო „მონეტარული ეკონომიკა და პოლიტიკა“ თემატიკით, განხილული საკითხებით, არქიტექტონიკით მეტად მნიშვნელოვანი ნამუშევარია და ეკონომიკისა და ფინანსების სპეციალობის სტუდენტებისათვის უაღრესად საჭირო, დროული და ძვირფასი შენაძენი იქნება.

დ. სეხნიაშვილი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის
დეპარტამენტის პროფესორი

ქართველ ავტორთა წიგნი მსოფლიოს 9 ენაზე

გერმანიის გამომცემლობამ 2019 წელს ინგლისურ ენაზე გამოსცა საერთაშორისო საინჟინრო და საქართველოს საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრის ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დემურ ჩომახიძის და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრის, ენერგეტიკის რეგულირების რეგიონული ასოციაციის თავმჯდომარის მაია მელიქიძის ნაშრომი „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური საფუძვლები“ (Methodological and Conceptual Basis For The Energy Development in Georgia).

წიგნი ეხება თანამედროვეობის აქტუალურ თემას. მასში დაწვრილებითაა განხილული ენერგეტიკის არსებული გამოწვევები და ჩამოყალიბებულია მწყობრი მეთოდოლოგიურ-კონცეპტუალური საფუძვლები მისი განვითარებისათვის. წიგნმა ფართო ინტერესი გამოიწვია, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. მისი პრეზენტაცია გაიმართა ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, სადაც გამომსვლელთა მოწონება დაფიქსირდა.

ნაშრომის აქტუალობამ და სიღრმისეულმა გადაწყვეტამ საფუძველი მისცა გამომცემლობას, რომ ნაშრომი სხვა ენებზეც დაბეჭდილიყო. კერძოდ 2020 წელს წიგნი დამატებით გამოიცა: რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ, ბრაზილიურ, თურქულ, უკრაინულ და იტალიურ ენებზე.

წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ჩატარებულია სინთეზური ანალიზი საქართველოს ენერგეტიკაში არსებული გამოწვევებისა. კერძოდ ეს ეხება ისეთ აქტუალურ თემებს, როგორიცაა ქვეყნის დეფიციტური ბალანსი, ენერგოდაზოგვის პრობლემები, ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების გამოყენება, განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისების გაფართოება, ეკოლოგიური პრობლემები და სხვა.

მეორე ნაწილში კი ჩამოყალიბებულია ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის მეთოდოლოგიურ-კონცეპტუალური საფუძვლები. მათ შორისაა: ენერგოუსაფრთხოების, ენერგოდაზოგვის, გარემოსდაცვის, საინვესტიციო, ადგილობრივი რესურსების გაფართოების პოლიტიკა და სხვა საკვანძო საკითხები.

მიგვაჩნია წიგნი კარგი შენაძენია საინჟინრო-ეკონომიკურ მეცნიერებაში და ამ მხრივ იგი საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს.

ა. ფრანგიშვილი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოსი